CAUCASUS RESEARCH RESOURCE CENTER

რუსი იმიგრანტების ცხოვრება საქართველოში

CRRC-საქართველო

2023

CRRC-საქართველოს შესახებ

CRRC-საქართველო არის არაკომერციული კვლევითი ორგანიზაცია, რომელიც უზრუნველყოფს ხარისხიანი მონაცემების ხელმისაწვდომობას საზოგადოებრივი სიკეთისთვის. ორგანიზაციის მისიაა მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი საკითხების შესახებ მტკიცებულებებზე დაფუძნებული დისკუსიის ხელშეწყობა სანდო, უახლესი, და ხელმისაწვდომი მონაცემების შეგროვებითა და ანალიზით.

ავტორი

გივი სილაგაძე, მკვლევარი

კონტაქტი: *g.silagadze@crrccenters.org*

მადლობა

ავტორს სურს, მადლობა გადაუხადოს ელენე იმედაშვილს რესპონდენტების მოძიებაში დახმარებისთვის. ასევე, კობა თურმანიძესა (CRRC-საქართველო) და დავით სიჭინავას (კარლტონის უნივერსიტეტი) დოკუმენტის წინა ვერსიებზე გამოთქმული სასარგებლო რჩევებისთვის. ასევე, მადლობა CRRC-ის მკვლევარს მახარე აჭაიძეს ანგარიშის ვიზუალური გაფორმებისთვის.

წინამდებარე ანგარიშში წარმოდგენილი კვლევა CRRC-საქართველომ დემოკრატიის ეროვნული ფონდის ფინანსური მხარდაჭერით ჩაატარა. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია CRRC-საქართველო და შესაძლოა, იგი არ გამოხატავდეს დემოკრატიის ეროვნული ფონდის შეხედულებებს

საავტორო უფლებები

© CRRC-საქართველო. ყველა უფლება დაცულია. დოკუმენტს საავტორო უფლებები აქვს. ნებართვის გარეშე ნაშრომის სრული ან ნაწილობრივი თარგმნა, გამრავლება ან გავრცელება შესაძლოა, არღვევდეს მოქმედ კანონმდებლობას.

სარჩევი

მოკლე შეჯამება.....6

შესავალი.....9

მეთოდოლოგია.....11

მონაცემების შეგროვება.....11

მონაცემების ანალიზი.....12

ძირითადი მიგნებები.....13

რუსეთის დატოვება.....13

დამოკიდებულებები რუსეთისა და რუსეთის მოქალაქეების მიმართ.....17

საქართველოში საცხოვრებლად ჩამოსვლა.....19

დამოკიდებულებები საქართველოსა და საქართველოს მოქალაქეების მიმართ.....25

პოლიტიკური დამოკიდებულებები და ჩართულობა.....27

რუსეთის პოლიტიკა.....28

საქართველოს პოლიტიკა.....31

საერთაშორისო აქტორები.....36

პოლიტიკური ჩართულობა საქართველოში ცხოვრების დროს.....39

დასკვნა.....42

ბიბლიოგრაფია.....44

დანართები.....45

დანართი 1 – ჩატარებული ინტერვიუების რაოდენობა გამოკითხვის მეთოდის მიხედვით.....45

დანართი 2 - გამოკითხული რუსეთის მოქალაქეების სოციალურ-დემოგრაფიული პროფილი.....45

დიაგრამების სარჩევი

დიაგრამა 1. რა იყო თქვენი უკანასკნელი მუდმივი საცხოვრებელი რუსეთში?.....13
დიაგრამა 2. რამდენად კმაყოფილი ან უკმაყოფილო იყავით თქვენი ცხოვრებით რუსეთში? 14
დიაგრამა 3. რა არის რუსეთის დატოვების ძირითადი მიზეზი? 15
დიაგრამა 4. საქართველოში საცხოვრებლად ჩამოსვლის შემდეგ ყოფილხართ თუ არა რუსეთში? ..15
დიაგრამა 5. ყოფილხართ თუ არა რუსეთში? - რეგრესიული მოდელი.....16
დიაგრამა 6. რამდენად ხშირად ესაუბრებით თქვენს მეგობრებსა და ნათესავებს, ვინც რუსეთში დარჩა? 16
დიაგრამა 7. აპირებთ თუ არა რუსეთში დაბრუნებას ახლო მომავალში?.....17
დიაგრამა 8. ზოგადად, როგორი დამოკიდებულება გაქვთ რუსეთის მიმართ? 17
დიაგრამა 9. დადებითი დამოკიდებულება რუსეთის მიმართ - რეგრესიული მოდელი.....18
დიაგრამა 10. რამდენად ენდობით ან არ ენდობით 18
დიაგრამა 11. ნდობა რუსეთში დარჩენილი რუსეთის მოქალაქეების მიმართ - რეგრესიული მოდელი 19
დიაგრამა 12. მუდმივი საცხოვრებელი საქართველოში.....20
დიაგრამა 13. საცხოვრებელი უბანი თბილისში.....20
დიაგრამა 14. რამდენად კმაყოფილი ან უკმაყოფილო ხართ თქვენი ცხოვრებით საქართველოში? .21
დიაგრამა 15. კმაყოფილია საქართველოში ცხოვრებით - რეგრესიული მოდელი 21
დიაგრამა 16. რამდენად ფიზიკურად უსაფრთხოდ ან დაუცველად გრძნობთ თავს საქართველოში?22
დიაგრამა 17. ფიზიკური უსაფრთხოების განცდა საქართველოში ცხოვრებისას - რეგრესიული მოდელი 22
დიაგრამა 18. საქართველოში საცხოვრებლად ჩამოსვლის მთავარი მიზეზები.....23
დიაგრამა 19. რამდენი ხნით გეგმავთ საქართველოში დარჩენას? 23
დიაგრამა 20. რამდენი ხნით გეგმავთ საქართველოში დარჩენას? - რეგრესიული მოდელი.....24
დიაგრამა 21. ზოგადად, როგორი დამოკიდებულება გაქვთ საქართველოს მიმართ? 25
დიაგრამა 22. რამდენად ენდობით ან არ ენდობით საქართველოს მაცხოვრებლებს?.....25
დიაგრამა 23. ნდობა საქართველოს მაცხოვრებლების მიმართ - რეგრესიული მოდელი 26
დიაგრამა 24. ქართველი მეგობრის ყოლა ან შეძენა.....26
დიაგრამა 25. ჰყავს ქართველი მეგობარი - რეგრესიული მოდელი 27

დიაგრამა 26. რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით მოსაზრებას, რომ თუ ხელისუფლება ქვეყანაში წესრიგსა და სტაბილურობას უზრუნველყოფს, არ აქვს მნიშვნელობა, დემოკრატიული იქნება ის თუ - არადემოკრატიული? 29
დიაგრამა 27. რამდენად დემოკრატიულია რუსეთი დღეს?.....29
დიაგრამა 28. რამდენად ენდობით ან არ ენდობით რუსეთის მთავრობას? 30
დიაგრამა 29. როგორ შეაფასებდით ... საქმიანობას? 30
დიაგრამა 30. უარყოფითად აფასებს ნავალნის საქმიანობას - რეგრესიული მოდელი.....31
დიაგრამა 31. რამდენად დემოკრატიულია საქართველო დღეს?.....32
დიაგრამა 32. შეხედულებები საქართველოს დემოკრატიულობაზე - რეგრესიული მოდელი 32
დიაგრამა 33. რამდენად ენდობით ან არ ენდობით საქართველოს მთავრობას? 33
დიაგრამა 34. ნდობა საქართველოს მთავრობის მიმართ - რეგრესიული მოდელი 33
დიაგრამა 35. როგორ შეაფასებდით ... საქმიანობას? 34
დიაგრამა 36. პრემიერმინისტრ ღარიბაშვილის საქმიანობის შეფასება - რეგრესიული მოდელი.....35
დიაგრამა 37. საქართველოს პრეზიდენტის საქმიანობის შეფასება – რეგრესიული მოდელი.....35
დიაგრამა 38. როგორ შეაფასებდით ვოლოდიმირ ზელენსკის საქმიანობას?.....36
დიაგრამა 39. ზოგადად, როგორი დამოკიდებულება გაქვთ ... მიმართ?.....37
დიაგრამა 40. დადებითი დამოკიდებულება აშშ-ის მიმართ - რეგრესიული მოდელი.....37
დიაგრამა 41. დადებითი დამოკიდებულება ნატო-ს მიმართ – რეგრესიული მოდელი.....38
დიაგრამა 42. დადებითი დამოკიდებულება ჩინეთის მიმართ - რეგრესიული მოდელი 38
დიაგრამა 43. საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ ...?.....39
დიაგრამა 44. მონაწილეობა მიმიღია საპროტესტო აქციაში - რეგრესიული მოდელი.....39
დიაგრამა 45. ვუყურებ პოლიტიკურ პროგრამებსა და ვიდეოებს - რეგრესიული მოდელი.....40
დიაგრამა 46. სოციალურ მედიაში პოლიტიკის შესახებ დამიწერია – რეგრესიული მოდელი.....40
დიაგრამა 47. მეგობრებთან/ნათესავებთან განმიხილავს პოლიტიკა – რეგრესიული მოდელი 41
დიაგრამა 48. ასაკის განაწილება სქესის მიხედვით.....46
დიაგრამა 49. რესპონდენტების ფორმალური განათლების ყველაზე მაღალი საფეხური.....47
დიაგრამა 50. რესპონდენტების დასაქმების სფერო საქართველოში ცხოვრებისას 47

მოკლე შეჯამება

2022 წლის თებერვალში უკრაინაში რუსეთის შეჭრის შემდეგ საქართველო და, ზოგადად, სამხრეთ კავკასიის რეგიონი რუსი მიგრანტებისთვის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ დანიშნულების ადგილად იქცა. საზღვრის კვეთის მონაცემების მიხედვით, 2022 წელს საქართველოში შემოსული რუსების რიცხვი საქართველოს მთლიანი მოსახლეობის მესამედზე მეტი იყო. უხეში გამოთვლით, 100 ათასი მათგანი საქართველოში საცხოვრებლად დარჩა.

წინამდებარე კვლევის მთავარი მიზანი საქართველოში მცხოვრები რუსეთის მოქალაქეების შესახებ უფრო დეტალური სურათის შექმნაა მათი მოტივების, აღქმებისა და პოლიტიკური შეხედულებების კუთხით.

CRRC-საქართველომ დემოკრატიის ეროვნული ფონდის (NED) ფინანსური მხარდაჭერით, 2022 წლის თებერვლის შემდეგ საქართველოში ჩამოსული რუსეთის მოქალაქეების გამოკითხვა ჩაატარა. მონაცემები 2023 წლის აპრილ-მაისში შეგროვდა და, საერთო ჯამში, 1,008 სრულწლოვანი რუსეთის მოქალაქე გამოიკითხა. კვლევის შედეგების განზოგადება საქართველოში მცხოვრები რუსების მთლიან პოპულაციაზე შეუძლებელია, რადგანაც რესპონდენტების შერჩევა ალბათური შერჩევის პრინციპებს არ ეფუძნებოდა.

კვლევის მიგნებები შემდეგია:

სოციალურ-დემოგრაფიული პროფილი:

გამოკითხული რუსეთის მოქალაქეები, რომლებიც ომის შემდეგ საქართველოში საცხოვრებლად გადმოვიდნენ, უმეტესად ახალგაზრდები, განათლებულები და დასაქმებულები არიან. მათ შორის არაპროპორციულად არიან წარმოდგენილნი კაცები, ქალაქის მაცხოვრებლები და საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში დასაქმებულები.

რუსეთის დატოვება:

გამოკითხულმა რუსეთის მოქალაქეებმა საკუთარი ქვეყნის დატოვების ძირითად მიზეზებად რუსეთში არსებული პოლიტიკური სიტუაცია, უკრაინაში კონფლიქტი და სამხედრო მობილიზაციის გამოცხადება დაასახელეს. გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა ახლო მომავალში რუსეთში დაბრუნებას არ გეგმავს. თუმცა, ოთხიდან სამი რეგულარულ კონტაქტს ინარჩუნებს რუსეთში დარჩენილ ნათესავებთან და მეგობრებთან. ასევე, ყოველი მეხუთე ამბობს, რომ საქართველოში საცხოვრებლად ჩამოსვლის შემდეგ ყოფილა რუსეთში.

დამოკიდებულებები რუსეთისა და რუსეთი მოქალაქეების მიმართ:

რესპონდენტები რუსეთის მიმართ უმეტესად უარყოფით დამოკიდებულებას ამჟღავნებენ. რაც შეეხება რუსეთში დარჩენილი რუსების მიმართ ნდობას, აქ რესპონდენტების აზრი იყოფა. რესპონდენტების ნახევარი (49%) მათ ნდობას უცხადებს, მეორე ნახევარი კი (47%) არ ენდობა.

რუსეთის პოლიტიკა:

გამოკითხული რუსეთის მოქალაქეები რუსულ პოლიტიკას ძირითადად თვალ-ყურს ადევნებენ. მათი აბსოლუტური უმრავლესობა მიიჩნევს, რომ რუსეთი საერთოდ არ არის დემოკრატია. ამავდროულად, მათი დიდი უმრავლესობა არ ეთანხმება მოსაზრებას, რომ ქვეყანაში წესრიგისა და სტაბილურობის შენარჩუნება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე დემოკრატიული მთავრობის არსებობა.

ერთი მხრივ, გამოკითხულები რუსეთის მთავრობის მიმართ ღია უნდობლობას აფიქსირებენ და პრეზიდენტ პუტინის საქმიანობას მკვეთრად უარყოფითად აფასებენ. მეორე მხრივ, ათიდან რვა რუსი ალექსეი ნავალნის საქმიანობას დადებითად აფასებს.

საქართველოში საცხოვრებლად ჩამოსვლა:

კონკრეტულად საქართველოზე არჩევანის შეჩერების ძირითად მიზეზებად გამოკითხული რუსეთის მოქალაქეები უსაფრთხოებას, ცხოვრების ხელმისაწვდომობასა და ქვეყანაში შემოსვლის სიმარტივეს ასახელებენ. კვლევაში მონაწილე რუსების აბსოლუტური უმრავლესობა საქართველოში თავს ფიზიკურად უსაფრთხოდ გრძნობს და კმაყოფილია საქართველოში ცხოვრებით.

რაც შეეხება საქართველოში დარჩენის ხანგრძლივობას, რესპონდენტთა ნახევარი საქართველოში დარჩენას ერთი წლით ან მეტი ხნით გეგმავს, ყოველ მეოთხეს კი ამ საკითხზე გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია.

დამოკიდებულებები საქართველოსა და საქართველოს მოქალაქეების მიმართ:

კვლევაში მონაწილე თითქმის ყველა რუსეთის მოქალაქე დადებით დამოკიდებულებას ამჟღავნებს საქართველოს მიმართ. ათიდან ცხრა რუსი ენდობა საქართველოს მოქალაქეებს და ათიდან შვიდი ამბობს, რომ ქართველი მეგობარი ჰყავს. ქვეჯგუფების ანალიზი აჩვენებს, რომ რუსები, რომლებიც საქართველოში საცხოვრებლად 2022 წლის სექტემბრის სამხედრო მობილიზაციამდე ჩამოვიდნენ, უფრო მეტად ენდობიან საქართველოს მცხოვრებლებს.

საქართველოს პოლიტიკა:

რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ საქართველო დემოკრატიულია. თუმცა, მათი უმრავლესობა ასევე ამბობს, რომ საქართველოში დემოკრატიას დიდი პრობლემები აქვს.

გამოკითხული რუსეთის მოქალაქეების უმრავლესობა არ ენდობა საქართველოს მთავრობას და პრემიერმინისტრ ღარიბაშვილის საქმიანობას უარყოფითად აფასებს. ამის საპირისპიროდ, ოთხიდან სამი რესპონდენტი პრეზიდენტ ზურაბიშვილის საქმიანობას დადებით შეფასებას აძლევს.

რუსეთის მოქალაქეები, რომლებიც საქართველოში საცხოვრებლად სამხედრო მობილიზაციამდე ჩამოვიდნენ, უფრო მეტად მიიჩნევენ, რომ საქართველოს დემოკრატიას დიდი პრობლემები აქვს და უარყოფითად უფრო მეტად აფასებენ პრემიერმინისტრ ღარიბაშვილის საქმიანობას.

საერთაშორისო აქტორები:

კვლევის მონაწილეებს მკაფიოდ დადებითი დამოკიდებულება აქვთ დასავლელი აქტორების მიმართ. ათიდან რვა რესპონდენტი უკრაინის პრეზიდენტ ზელენსკის საქმიანობას დადებითად აფასებს. ამასთან, გამოკითხულთა უმეტესობა დადებითადაა განწყობილი უკრაინის (93%), ევროკავშირის (92%), აშშ-სა (84%) და ნატო-ს (77%) მიმართ.

პოლიტიკური ჩართულობა საქართველოში საცხოვრებლად ჩამოსვლის შემდეგ:

პოლიტიკური ჩართულობის კუთხით, გამოკითხული რუსეთის მოქალაქეების აბსოლუტური უმრავლესობა პოლიტიკას მეგობრებთან და ნათესავებთან ერთად განიხილავს. ასევე, პოლიტიკურ სატელევიზიო გადაცემებს უყურებს. თუმცა, საჯაროდ რესპონდენტთა ნახევარზე ნაკლები აფიქსირებს პოლიტიკურ შეხედულებებს: წერს პოლიტიკაზე სოციალურ მედიაში და ესწრება საპროტესტო აქციას ან ქუჩის დემონსტრაციას.

შესავალი

2022 წლის თებერვალში უკრაინაში შეჭრის შემდეგ რუსეთი მოქალაქეების დიდმა რაოდენობამ დატოვა.[1] მიუხედავად იმისა, რომ რუსი მიგრანტების ზუსტი რიცხვი უცნობია, სხვადასხვა შეფასებით, საუბარია მილიონებზე. დიდი ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტროს მონაცემებით, მხოლოდ 2022 წელს რუსეთიდან დაახლოებით 1.3 მილიონი ადამიანი წავიდა.[2]

სამხრეთ კავკასიის რეგიონი და კონკრეტულად საქართველო რუსი მიგრანტებისთვის პოპულარულ დანიშნულების ადგილად იქცა, რასაც უმეტესად გეოგრაფიული სიახლოვე და ლიბერალური სავიზო პოლიტიკა განაპირობებს.[3] საქართველოს რუსეთთან 900-კილომეტრიანი დე-იურე საზღვარი აქვს. რუსული მიგრაციის მასშტაბს ხაზს უსვამს საქართველოს ჩრდილოეთით საზღვართან მომლოდინე ავტომანქანების გრძელი რიგები.[4] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიხედვით, 2022 წლის თებერვლიდან დეკემბრამდე პერიოდში ქვეყანაში 1.4 მილიონი რუსეთის მოქალაქე შემოვიდა, რაც საქართველოს მთლიანი მოსახლეობის მესამედზე მეტია.[5]

თუმცა, აღსანიშნავია, რომ საქართველოში საცხოვრებლად დარჩენილი რუსეთის მოქალაქეების რეალური რიცხვი, სავარაუდოდ, ბევრად ნაკლებია. 2022 წლის დეკემბრის მდგომარეობით საქართველოში დაახლოებით 100,000 რუსეთის მოქალაქე დასახლდა.[6]

ბოლო პერიოდში საქართველოში დასახლებული რუსეთის მოქალაქეების შესწავლა უმეტესად სოციალურ-ეკონომიკური გავლენის ჭრილში ხდება და მათი მიგრაციის სოციალურ-პოლიტიკური მნიშვნელობა ნაკლებადაა გამოკვლეული.[7] ზოგი ამტკიცებს, რომ მიგრაციის ამ ტალღას მოკლევადიანი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა შეუძლია, სხვები კი წუხილს გამოთქვამენ ინფლაციის გამომწვევი ეფექტის გამო.[8]

---

[1] Aronova, "As More Russians Flee Over Putin's War On Ukraine, Other Countries Are Reaping The Economic Benefits."
[2] თავდაცვის სამინისტრო (დიდი ბრიტანეთი), "Latest Defence Intelligence Update on the Situation in Ukraine - 7 მაისი, 2023 წ."
[3] Krawatzek, DeSisto, and Soroka, "Russians in the South Caucasus: Political Attitudes and the War in Ukraine."
[4] Lomsadze, "Russian Draft Dodgers Queue at Georgian Border."
[5] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო (საქართველო), "საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე გადაადგილებული პირებისა და ტრანსპორტის სტატისტიკური მონაცემები (2022 წელი)."
[6] Staske and Giucci, "Relocation of People from Russia and Belarus to Georgia: Results of 2nd Survey and Update of Economic Implications."
[7] კაკაჩია და კანდელაკი, "მიგრაცია რუსეთიდან: საფრთხე თუ შესაძლებლობა საქართველოსთვის?"
[8] *Link*.

საქართველოში რუსი მიგრანტების წინა გამოკითხვების მიხედვით, ისინი უფრო ახალგაზრდები და განათლებულები არიან და უფრო ლიბერალური და ანტი-რუსული განწყობა აქვთ, ვიდრე რუსეთის მოსახლეობას.[9]

მოცემული კვლევის ანგარიში ორ მიზანს ემსახურება:

1. შეისწავლოს საქართველოში მცხოვრები რუსეთის მოქალაქეების სოციალურ-ეკონომიკური საქმიანობა და ახალი მონაცემებით შეავსოს მანამდე არსებული კვლევები;
2. უფრო სრულყოფილად გამოიკვლიოს საქართველოში მცხოვრები რუსების მოტივაცია, აღქმები და პოლიტიკური შეხედულებები.

საქართველოში მცხოვრები რუსების დამოკიდებულებების, შეხედულებებისა და გამოწვევების შესასწავლად CRRC-საქართველომ კვლევა ჩაატარა და, საერთო ჯამში, გამოკითხა 1,008 სრულწლოვანი (18+) რუსეთის მოქალაქე, რომელიც 2022 წლის თებერვლის შემდეგ ჩამოვიდა საქართველოში. გამოკითხვა რუსულ ენაზე ჩატარდა. მონაცემები 2023 წლის აპრილსა და მაისში შეგროვდა. აღსანიშნავია, რომ გამოკითხვა არა-შემთხვევითი და არა-ალბათური შერჩევის პრინციპებს ეფუძნება. შესაბამისად, შეუძლებელია შედეგების განზოგადება საქართველოში მცხოვრები რუსეთის მოქალაქეების მთელ პოპულაციაზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ანგარიშში ნახსენები რუსეთის მოქალაქეები მხოლოდ გამოკითხულ რესპონდენტებს (1,008) მიემართება და კვლევას არ აქვს პრეტენზია, ისაუბროს საქართველოში მცხოვრები რუსეთის მოქალაქეების სრულ პოპულაციაზე.

ანგარიშის სტრუქტურა შემდეგია: მომდევნო სექცია კვლევის მეთოდოლოგიის, მათ შორის მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის მეთოდების აღწერას ეთმობა. მეორე სექცია, რომელიც ანგარიშის ძირითად ნაწილს წარმოადგენს, კვლევის ძირითად შედეგებს მიმოიხილავს. ანგარიში დასკვნით სრულდება და მას ბიბლიოგრაფია და დანართები მოსდევს.

[9] Krawatzek, DeSisto, and Soroka, "Russians in the South Caucasus: Political Attitudes and the War in Ukraine"; Staske and Giucci, "Relocation of People from Russia and Belarus to Georgia: Results of 2nd Survey and Update of Economic Implications"; Kostenko et al., "The Russian Rhizome."

მეთოდოლოგია

მონაცემების შეგროვება

საქართველოში მცხოვრები რუსეთის მოქალაქეების დამოკიდებულებებისა და შეხედულებების შესასწავლად CRRC-საქართველომ გამოკითხვა ჩაატარა. საერთო ჯამში, 1,008 ინტერვიუ ჩატარდა რუსეთის სრულწლოვან (18+) მოქალაქეებთან, რომლებიც საქართველოში 2022 წლის თებერვლის შემდეგ ჩამოვიდნენ საცხოვრებლად.[10] ალბათური შერჩევის გაკეთება შეუძლებელი იყო, რადგანაც არ არსებობს ოფიციალური მონაცემები საქართველოში მცხოვრები რუსების შესახებ. CRRC-საქართველომ არა-ალბათური შერჩევის მიდგომა აირჩია და რესპონდენტების მოსაძიებლად რამდენიმე გზა გამოიყენა: ა) CRRC-ის წინა გამოკითხვები, რომლებშიც რესპონდენტებმა თანხმობა განაცხადეს სხვა გამოკითხვებში მონაწილეობაზე; ბ) რეკლამა „ფეისბუქზე"; გ) რეკლამა „ტელეგრამის" არხებში; და დ) მათი მოძიება პირისპირ (მეტი ინფორმაცია შერჩევასა და რესპონდენტების მოძიებაზე მოცემულია პირველ დანართში). არა-ალბათური შერჩევის გამო ეს გამოკითხვა არ შეიძლება, ჩაითვალოს საქართველოში მცხოვრები რუსეთის მოქალაქეების წარმომადგენლობით გამოკვლევად.

ინტერვიუები რუსულ ენაზე ჩატარდა. მონაცემების შეგროვების პერიოდია შემდეგი: სატელეფონო გამოკითხვა - 5-18 აპრილი; პირისპირ გამოკითხვა - 1-7 მაისი და ონლაინ გამოკითხვა - 20 აპრილი-8 მაისი. საქართველოში მცხოვრები რუსი მიგრანტების შესახებ მანამდე ჩატარებულ კვლევებთან თავსებადობის მიზნით, კვლევის ინსტრუმენტი შეიცავდა კითხვებს გერმანული ეკონომიკური გუნდისა[11] და Re-Russia-ს[12] კვლევებიდან.

[10] შერჩევა მოიცავს რესპონდენტებს, რომლებმაც შეკითხვების 50%-ს მაინც უპასუხეს.
[11] Staske and Giucci, "Relocation of People from Russia and Belarus to Georgia: Results of 2nd Survey and Update of Economic Implications."
[12] Kostenko et al., "The Russian Rhizome."

მონაცემების ანალიზი

ანგარიშში მოცემული ანალიზი მულტივარიაციულ რეგრესიულ მოდელებს ეფუძნება. მულტივარიაციული მოდელები სტატისტიკურად მნიშვნელოვან კავშირებს ამოწმებს დამოკიდებულ ცვლადებსა და შემდეგ დამოუკიდებელ ცვლადებს შორის:

- ასაკობრივი ჯგუფი (33-ზე ნაკლები, 33-ზე მეტი)
- სქესი (კაცი ან ქალი)
- ფორმალური განათლების დონე (საშუალო ან უფრო დაბალი, პროფესიული, ბაკალავრის ხარისხი, სპეციალისტის ხარისხი, მაგისტრის ხარისხი)
- საცხოვრებელი ადგილი საქართველოში (თბილისი, ბათუმი, სხვა)
- წინა საცხოვრებელი ადგილი რუსეთში (მოსკოვი, სანქტ-პეტერბურგი, სხვა)
- საქართველოში საცხოვრებლად ჩამოსვლის პერიოდი (2022 წლის სექტემბრამდე თუ შემდეგ)
- დასაქმების სტატუსი საქართველოში (დასაქმებული, დაუსაქმებელი)
- ეთნიკური კუთვნილება (ეთნიკურად რუსი ან არარუსი)
- ყოველთვიური შემოსავალი საქართველოში, აშშ დოლარში (1000-ზე ნაკლები, 1000-დან 2500-მდე, 2500-ზე მეტი)

ანალიზი ასევე ითვალისწინებდა ინტერვიუს ჩატარების ტიპს (პირისპირ, ტელეფონით თუ ონლაინ).

ძირითადი მიგნებები

რუსეთის დატოვება

კვლევის მიგნებების ეს ქვეთავი მიმოიხილავს რუსეთის დატოვების ძირითად მიზეზებს და იმას, თუ რას ფიქრობენ რესპონდენტები რუსეთში დაბრუნების შესახებ. რუსეთის დატოვების მიზეზებად ყველაზე ხშირად ქვეყანაში არსებული პოლიტიკური სიტუაცია, უკრაინაში კონფლიქტი და სამხედრო მობილიზაციის გამოცხადება დასახელდა. გამოკითხული რუსეთის მოქალაქეები უმეტესად მოსკოვიდან და სანქტ-პეტერბურგიდან არიან და რეგულარულ კონტაქტს ინარჩუნებენ რუსეთში დარჩენილ მეგობრებთან და ნათესავებთან. ამასთან, მათი უმრავლესობა ახლო მომავალში რუსეთში დაბრუნებას არ გეგმავს. თუმცა, ყოველი მეხუთე რესპონდენტი ამბობს, რომ საქართველოში საცხოვრებლად ჩამოსვლის შემდეგ ჩასული იყო რუსეთში.

გამოკითხული რუსეთის მოქალაქეები, ვინც ქვეყანა დატოვა და საცხოვრებლად საქართველოში ჩამოვიდა, უმეტესად რუსეთის ცენტრალური და ჩრდილო-დასავლეთის ფედერალური ოკრუგებიდან არიან; კერძოდ, ორი ყველაზე დიდი ქალაქიდან: მოსკოვიდან და სანქტ-პეტერბურგიდან არიან. გამოკითხულების 50% ცენტრალური ფედერალური ოკრუგიდანაა, ხოლო 27% ჩრდილო-დასავლეთის ფედერალური ოკრუგიდან. რესპონდენტების მესამედზე მეტი (36%) საქართველოში ჩამოსვლამდე მოსკოვში ცხოვრობდა, მეოთხედზე ოდნავ ნაკლები (23%) კი – სანქტ-პეტერბურგში.

ამის მიუხედავად, მრავალფეროვანია ის ოლქები და ოკრუგები, საიდანაც რუსები საქართველოში საცხოვრებლად ჩამოვიდნენ. შერჩევაში მოხვედრილმა სულ მცირე ერთმა რესპონდენტმა მაინც, საერთო ჯამში, რუსეთის 8 სხვადასხვა ფედერალური ოკრუგი და 58 სხვადასხვა ფედერალური ერთეული დაასახელა, რაც ხაზს უსვამს საქართველოში ჩამოსული რუსების წარმომავლობის გეოგრაფიულ მრავალფეროვნებას.

***დიაგრამა 1**. რა იყო თქვენი უკანასკნელი მუდმივი საცხოვრებელი რუსეთში?*

(%, N=750)



რესპონდენტების პასუხები რუსეთში ცხოვრებით კმაყოფილების თვალსაზრისით მრავალფეროვანია. რესპონდენტების დაახლოებით ნახევარი (47%) ამბობს, რომ საქართველოში ჩამოსვლამდე რუსეთში საკუთარი ცხოვრებით ძალიან ან საკმაოდ კმაყოფილი იყო. გამოკითხული რუსეთის მოქალაქეების 16% არც კმაყოფილი და არც უკმაყოფილო იყო რუსეთში ცხოვრებით, ხოლო რესპონდენტების დაახლოებით მესამედი (36%) ამბობს, რომ ძალიან ან საკმაოდ უკმაყოფილო იყო რუსეთში ცხოვრებით.

დიაგრამა 2. *რამდენად კმაყოფილი ან უკმაყოფილო იყავით თქვენი ცხოვრებით რუსეთში?*

(%, N=1005)



რაც შეეხება რუსეთის დატოვების ძირითად მიზეზებს, საქართველოში საცხოვრებლად ჩამოსული რუსი მიგრანტების სხვა კვლევების მსგავსად,13 ყველაზე ხშირი პასუხები იყო: რუსეთში არსებული პოლიტიკური ვითარება, უკრაინაში ომი და 2022 წლის სექტემბერში გამოცხადებული სამხედრო მობილიზაცია. გამოკითხულთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ (87%) ქვეყნის დატოვების ძირითად მიზეზად რუსეთში არსებული პოლიტიკური სიტუაცია დაასახელა, 73%-მა - უკრაინაში ომი, მესამედზე ოდნავ ნაკლებმა (29%) კი თქვა, რომ მისთვის რუსეთის დატოვების მთავარი მიზეზი სამხედრო მობილიზაციის გამოცხადება გახდა.

სხვა მიზეზებიდან, ყოველმა მეხუთე გამოკითხულმა თქვა, რომ რუსეთი შვილების მომავლისთვის დატოვა (22%) ან მსოფლიოს სანახავად და სხვა ქვეყანაში საცხოვრებლად (19%). რესპონდენტების 9%-ისთვის მიზეზი ფინანსური მდგომარეობა, ხოლო 1%-ისთვის სწავლა ან სტაჟირება იყო. სხვა მიზეზები კიდევ უფრო იშვიათად დასახელდა.

[13] ZOIS

დიაგრამა 3. *რა არის რუსეთის დატოვების ძირითადი მიზეზი?*

რესპონდენტებს რამდენიმე პასუხის დასახელება შეეძლოთ

(%, N=1006)



რუსი მიგრანტების კიდევ ერთი კვლევის მიხედვით, მათი 16% რუსეთში დროებით დაბრუნდა „საქმეების მოსაგვარებლად“. მოცემული გამოკითხვა ადასტურებს ამ მიგნებას, რამდენადაც წინამდებარე კვლევის ყოველი მეხუთე რესპონდენტი (20%) ამბობს, რომ საქართველოში საცხოვრებლად ჩამოსვლის შემდეგ ჩავიდა რუსეთში.

დიაგრამა 4. *საქართველოში საცხოვრებლად ჩამოსვლის შემდეგ ყოფილხართ თუ არა რუსეთში?*

(%, N=857)

სტატისტიკური ანალიზი აჩვენებს, რომ ქალები, უმაღლესი განათლების მქონე ხალხი, რუსები, რომლებიც საქართველოში საცხოვრებლად სამხედრო მობილიზაციამდე ჩამოვიდნენ და ისინი, ვისი ყოველთვიური შემოსავალიც 1000 აშშ დოლარს აღემატება, უფრო მაღალი ალბათობით ამბობენ, რომ საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ იყვნენ რუსეთში, ვიდრე კაცები, ფორმალური განათლების უფრო დაბალ საფეხურზე მყოფნი, ისინი, ვინც საქართველოში 2022 წლის სექტემბრის შემდეგ ჩამოვიდნენ, და ისინი, ვისი ყოველთვიური შემოსავალიც 1000 აშშ დოლარზე ნაკლებია.

დიაგრამა 5. *ყოფილხართ თუ არა რუსეთში? - რეგრესიული მოდელი (პროგნოზირებული ალბათობა)*



გამოკითხული რუსეთის მოქალაქეები რეგულარულ კონტაქტს ინარჩუნებენ რუსეთში დარჩენილ მეგობრებთან და ნათესავებთან. მეოთხედზე ოდნავ მეტმა (27%) თქვა, რომ რუსეთში მყოფ მეგობრებსა და ნათესავებს ყოველდღე ელაპარაკება. რესპონდენტების ნახევარს კომუნიკაცია კვირაში ერთხელ მაინც აქვს, 16%-ს თვეში ერთხელ მაინც, თუმცა, არა ყოველკვირა. რესპონდენტების მცირე ნაწილმა აღნიშნა, რომ ამაზე უფრო იშვიათად ეკონტაქტება რუსეთში დარჩენილ მეგობრებსა და ნათესავებს.

დიაგრამა 6. *რამდენად ხშირად ესაუბრებით თქვენს მეგობრებსა და ნათესავებს, ვინც რუსეთში დარჩა?*

(%, N=858)



რესპონდენტები ახლო მომავალში რუსეთში დაბრუნებას არ აპირებენ. გამოკითხული რუსეთის მოქალაქეების აბსოლუტურმა უმრავლესობამ (93%) თქვა, რომ ახლო მომავალში რუსეთში დაბრუნებას არ გეგმავს.

დიაგრამა 7. *აპირებთ თუ არა რუსეთში დაბრუნებას ახლო მომავალში?*

(%, N=1008)

დამოკიდებულებები რუსეთისა და რუსეთის მოქალაქეების მიმართ

ძირითადი მიგნებების თავის მეორე ნაწილი ყურადღებას ამახვილებს რესპონდენტების დამოკიდებულებებზე რუსეთისა და რუსეთის სხვა მოქალაქეების მიმართ. კვლევის თანახმად, გამოკითხულების ორი მესამედი უარყოფითადაა განწყობილი რუსეთის მიმართ, ხოლო დამოკიდებულება რუსეთში დარჩენილი რუსეთის მოქალაქეების მიმართ გაყოფილია: ნახევარი მათ ენდობა, მეორე ნახევარი კი - არა.

შეკითხვაზე, როგორია მათი ზოგადი დამოკიდებულება რუსეთის მიმართ, გამოკითხული რუსი მიგრანტები უარყოფითი დამოკიდებულებისკენ იხრებიან. გამოკითხულთა ორი მესამედი (66%) უარყოფითადაა განწყობილი რუსეთის მიმართ. მეოთხედზე მეტს (28%) დადებითი დამოკიდებულება აქვს, ხოლო 6%-მა არ იცის ან პასუხის გაცემისგან თავს იკავებს.

დიაგრამა 8. *ზოგადად, როგორი დამოკიდებულება გაქვთ რუსეთის მიმართ?*

(%, N=856)



სხვა სოციალურ-დემოგრაფიული ცვლადების გაკონტროლების შემდეგ სტატისტიკური ანალიზი აჩვენებს, რომ უმაღლესი განათლების მქონე რუსეთის მოქალაქეები, ისინი, ვინც საქართველოში სამხედრო მობილიზაციის გამოცხადების შემდეგ ჩამოვიდნენ და ეთნიკურად რუსები უფრო მაღალი ალბათობით ამჟღავნებენ დადებით დამოკიდებულებას რუსეთის

მიმართ, ვიდრე ფორმალური განათლების უფრო დაბალ საფეხურზე მდგომი რესპონდენტები, საქართველოში 2022 წლის სექტემბრამდე ჩამოსულები და რუსეთის ეთნიკურად არარუსი მოქალაქეები.

დიაგრამა 9. *დადებითი დამოკიდებულება რუსეთის მიმართ - რეგრესიული მოდელი (პროგნოზირებული ალბათობა)*



წინა გამოკითხვების მსგავსად,[14] მოცემულ გამოკითხვაში მონაწილე რესპონდენტების აზრი რუსეთში დარჩენილი რუსეთის მოქალაქეების მიმართ ნდობასთან დაკავშირებით იყოფა, ხოლო რუსეთიდან გაქცეული რუსეთის მოქალაქეების მიმართ ნდობა მაღალია. გამოკითხულთა 49% სრულად ან ძირითადად ენდობა რუსეთის მოქალაქეებს, რომლებიც რუსეთში დარჩნენ, მეორე ნახევარი კი (47%) მათ ნაკლებად ან საერთოდ არ ენდობა. რაც შეეხება რუსეთის მოქალაქეებს, ვინც ქვეყანა დატოვა, რესპონდენტების 76% მათ ძირითადად ენდობა.

დიაგრამა 10. რამდენად ენდობით ან არ ენდობით ...

(%, N=1008)



[14] Kostenko et al., "The Russian Rhizome."

რეგრესიული ანალიზი აჩვენებს, რომ ახალგაზრდები და ეთნიკურად რუსები უფრო მაღალი ალბათობით ენდობიან ქვეყანაში დარჩენილ რუსეთის მოქალაქეებს, ვიდრე უფროსი ასაკის რესპონდენტები და რუსეთის მოქალაქეები, რომლებიც ეთნიკურად რუსები არ არიან. რაც შეეხება ნდობას რუსეთის მოქალაქეების მიმართ, ვინც ქვეყანა დატოვა, ასაკი, სქესი, საცხოვრებელი ადგილი საქართველოში, ფორმალური განათლების დონე ან საქართველოში საცხოვრებლად ჩამოსვლის დრო ამაზე გავლენას არ ახდენს.

დიაგრამა 11. *ნდობა რუსეთში დარჩენილი რუსეთის მოქალაქეების მიმართ - რეგრესიული მოდელი (პროგნოზირებული ალბათობა)*



საქართველოში საცხოვრებლად ჩამოსვლა

ეს ქვეთავი საქართველოში ჩამოსვლის ძირითად მოტივაციას აღწერს, ასევე, ცხოვრებით კმაყოფილებას და უსაფრთხოების გრძნობას საქართველოში. გამოკითხვის თანახმად, გამოკითხული რუსეთის მოქალაქეები უმეტესად საქართველოს დიდ ქალაქებში, თბილისსა და ბათუმში, ცხოვრობენ. რესპონდენტების უმეტესობამ საქართველო დანიშნულების ადგილად უსაფრთხოების, ცხოვრების ხელმისაწვდომობის და ჩამოსვლის სიმარტივის გამო აირჩია. გარდა ამისა, ისინი თავს ფიზიკურად უსაფრთხოდ გრძნობენ და ძირითადად კმაყოფილი არიან თავისი ცხოვრებით საქართველოში. რაც შეეხება ამ ქვეყანაში დარჩენის ხანგრძლივობას, გამოკითხული რუსეთის მოქალაქეების ნახევარი ერთ წელზე მეტი ხნით დარჩენას აპირებს, მეოთხედს კი ჯერ არ გადაუწყვეტია.

გამოკითხული რუსეთის მოქალაქეები უმეტესად საქართველოს დედაქალაქში ცხოვრობენ და მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილს აქვს ბინადრობის ნებართვა. გამოკითხული ათი რუსეთის მოქალაქიდან ცხრას (94%) საქართველოში ბინადრობის უფლება არ აქვს, იგი მხოლოდ 6%-ს

აქვს. ათი გამოკითხულიდან რვა (80%) თბილისში ცხოვრობს,[15] მათი 15% - ბათუმში, დანარჩენი 5% კი საქართველოს სხვა დასახლებებში, როგორიცაა: ქუთაისი, ქობულეთი, რუსთავი და ა.შ. რუსეთის მოქალაქეებიდან, ვინც თბილისში ცხოვრობს (რესპონდენტების 80%), მესამედზე მეტი საბურთალოზე ცხოვრობს (35%), 12% მთაწმინდაზე, ხოლო 11-11% ვაკესა და ისანში. თბილისის სხვა უბნები საქართველოში მცხოვრები რუსების 10%-ზე ნაკლებმა დაასახელა.

დიაგრამა 12. მუდმივი საცხოვრებელი საქართველოში

(%, N=1008)

დიაგრამა 13. საცხოვრებელი უბანი თბილისში

მხოლოდ რესპონდენტების 80%, ვინც თბილისში ცხოვრობს

(%, N=802)



[15] მხოლოდ თბილისში, პირისპირ ჩატარებული ინტერვიუების გამოკლების შემდეგაც რესპონდენტების 77% თბილისის მცხოვრები იყო.

რუსეთის მოქალაქეების უმრავლესობა (78%) ამბობს, რომ ძალიან ან საკმაოდ კმაყოფილია საქართველოში ცხოვრებით. რესპონდენტების 16% არც კმაყოფილია და არც უკმაყოფილო, ხოლო 6%-მდე გამოკითხული რუსეთის მოქალაქე ამბობს, რომ ძალიან ან საკმაოდ უკმაყოფილოა საქართველოში ცხოვრებით.

დიაგრამა 14. *რამდენად კმაყოფილი ან უკმაყოფილო ხართ თქვენი ცხოვრებით საქართველოში? (%, N=1005)*



რუსეთის მოქალაქეები, რომლებიც საქართველოში სამხედრო მობილიზაციის გამოცხადებამდე, 2022 წლის სექტემბრამდე ჩამოვიდნენ, და უფრო მაღალი ყოველთვიური შემოსავლის მქონე ადამიანები უფრო კმაყოფილები არიან საქართველოში ცხოვრებით, ვიდრე ისინი, ვინც 2022 წლის სექტემბრის შემდეგ ჩამოვიდნენ და ისინი, ვისი ყოველთვიური შემოსავალიც 1000 აშშ დოლარზე ნაკლებია.

დიაგრამა 15. *კმაყოფილია საქართველოში ცხოვრებით - რეგრესიული მოდელი (პროგნოზირებული ალბათობა)*

ამასთან, რუსეთის მოქალაქეები თავს ფიზიკურად უსაფრთხოდ გრძნობენ საქართველოში. რესპონდენტების მესამედი (33%) ამბობს, რომ თავს ძალიან უსაფრთხოდ გრძნობს საქართველოში, 56% – საკმაოდ უსაფრთხოდ, 8% არც უსაფრთხოდ და არც დაუცველად, ხოლო გამოკითხულთა დაახლოებით 3% ფიზიკურად ძალიან ან საკმაოდ დაუცველად გრძნობს თავს საქართველოში.

დიაგრამა 16. *რამდენად ფიზიკურად უსაფრთხოდ ან დაუცველად გრძნობთ თავს საქართველოში?*

(%, N=1008)



სტატისტიკური ანალიზი აჩვენებს, ბათუმში მცხოვრები რუსეთის მოქალაქეები ფიზიკურად უფრო უსაფრთხოდ გრძნობენ თავს, ვიდრე თბილისში ან საქართველოს სხვა ნაწილებში მცხოვრები რუსეთის მოქალაქეები.

დიაგრამა 17*. ფიზიკური უსაფრთხოების განცდა საქართველოში ცხოვრებისას – რეგრესიული მოდელი*

(პროგნოზირებული ალბათობა)

გამოკითხვაში რესპონდენტებს ასევე სთხოვეს, დაესახელებინათ ძირითადი მიზეზები, რატომაც არჩევანი საქართველოზე შეაჩერეს. გამოკითხულთა 28%-მა ერთ-ერთ მთავარ მიზეზად უსაფრთხოება დაასახელა, 17%-მა - ცხოვრების ხელმისაწვდომობა და 14%-მა საქართველოში ჩამოსვლის სიმარტივე. რესპონდენტების 10%-ზე ნაკლებმა დაასახელა რაიმე სხვა მიზეზი.

***დიაგრამა 18**. საქართველოში საცხოვრებლად ჩამოსვლის მთავარი მიზეზები*

რესპონდენტებს რამდენიმე პასუხის დასახელება შეეძლოთ

(%, N=1008)



რესპონდენტების აზრი გაყოფილია იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენ ხანს აპირებენ საქართველოში დარჩენას, საკმაოდ მნიშვნელოვან წილს კი ჯერ არ გადაუწყვეტია. გამოკითხულთა ნახევარი (49%) საქართველოში სულ მცირე ერთი წლით დარჩენას მაინც გეგმავს, 14% - ექვს თვეზე მეტ, თუმცა, წელიწადზე ნაკლებ ხანს, 6% - ოთხ თვეზე მეტ, თუმცა, ექვს თვეზე ნაკლებ ხანს. დროის სხვა მონაკვეთები რუსეთის მოქალაქეების 5%-ზე ნაკლებმა დაასახელა. გამოკითხული რუსეთის მოქალაქეების მეოთხედი (25%) ამბობს, რომ ჯერ არ გადაუწყვეტია, რამდენ ხანს დარჩება საქართველოში.

***დიაგრამა 19.** რამდენი ხნით გეგმავთ საქართველოში დარჩენას?*

(%, N=1000)



ლოგისტიკური რეგრესია აჩვენებს, რომ ისინი, ვინც საქართველოში სამხედრო მობილიზაციის გამოცხადებამდე ჩამოვიდნენ, 14 პროცენტული პუნქტით უფრო მაღალი ალბათობით ამბობენ, რომ საქართველოში ერთ წელზე მეტი ხნით აპირებენ დარჩენას, ვიდრე ისინი, ვინც საქართველოში 2022 წლის სექტემბრის შემდეგ ჩამოვიდნენ. გარდა ამისა, მოსკოვიდან და სანქტ-პეტერბურგიდან ჩამოსული რუსეთის მოქალაქეების შემთხვევაში ალბათობა იმისა, რომ ერთ წელზე მეტხანს დარჩნენ საქართველოში, უფრო ნაკლებია. ასევე, რუსეთის მოქალაქეები, რომლებიც ეთნიკურად რუსები არ არიან, ეთნიკურად რუსებზე 12 პროცენტული პუნქტით უფრო მაღალი ალბათობით ამბობენ, რომ საქართველოში ერთ წელზე მეტი ხნით აპირებენ დარჩენას.

დიაგრამა 20. *რამდენი ხნით გეგმავთ საქართველოში დარჩენას? - რეგრესიული მოდელი (პროგნოზირებული ალბათობა)*



დამოკიდებულებები საქართველოსა და საქართველოს მოქალაქეების მიმართ

ძირითადი მიგნებების მეოთხე ქვეთავი რუსეთის მოქალაქეების ზოგად დამოკიდებულებას მოიცავს საქართველოსა და საქართველოს მოქალაქეების მიმართ. გამოკითხული რუსეთის მოქალაქეები მეტწილად დადებითად არიან საქართველოს მიმართ განწყობილი, ათიდან ცხრა საქართველოს მოქალაქეებს ენდობა. ოთხიდან სამი გამოკითხული რუსეთის მოქალაქე ამბობს, რომ ქართველი მეგობარი ჰყავს.

განსხვავებით რუსეთის მიმართ უმეტესად უარყოფითი განწყობისა, გამოკითხული რუსეთის მოქალაქეების აბსოლუტური უმრავლესობა საქართველოს მიმართ დადებით დამოკიდებულებას ამჟღავნებს. რესპონდენტების 98% დააფიქსირა, რომ ზოგადად დადებითადაა განწყობილი საქართველოს მიმართ.

დიაგრამა 21. *ზოგადად, როგორი დამოკიდებულება გაქვთ საქართველოს მიმართ?*

(%, N=853)

მოცემული კვლევა ეხმიანება რუსი მიგრანტების წინა კვლევებს, რომ ისინი უმეტესად მასპინძელი ქვეყნის მაცხოვრებლებს ენდობიან.[16] გამოკითხული ათი რუსეთის მოქალაქიდან ცხრა (91%) სრულად ან ძირითადად ენდობა საქართველოს მაცხოვრებლებს და მხოლოდ 8%-ია, რომელიც ძირითადად ან საერთოდ არ ენდობა მათ.

დიაგრამა 22. *რამდენად ენდობით ან არ ენდობით საქართველოს მაცხოვრებლებს?*

(%, N=1007)

[16] Kostenko et al., "The Russian Rhizome."

ლოგისტიკური რეგრესული მოდელის მიხედვით, ისინი, ვინც საქართველოში 2022 წლის სექტემბრამდე ჩამოვიდნენ და რუსეთის მოქალაქეები, რომლებიც თბილისს გარეთ ცხოვრობენ, სრულ ნდობას უფრო უცხადებენ საქართველოს მოქალაქეებს, ვიდრე 2022 წლის სექტემბრის შემდეგ ჩამოსულები ან თბილისში მცხოვრები რუსეთის მოქალაქეები.

დიაგრამა 23. *ნდობა საქართველოს მაცხოვრებლების მიმართ - რეგრესიული მოდელი (პროგნოზირებული ალბათობა)*



რაც შეეხება მასპინძელ ქვეყანაში მეგობრის ყოლას, გამოკითხული რუსეთის მოქალაქეების ორ მესამედზე მეტი (74%) ამბობს, რომ ქართველი მეგობარი ჰყავს. რესპონდენტების 44%-მა აღნიშნა, რომ საქართველოში 2022 წელს ჩამოსვლამდე ჰყავდა ქართველი მეგობარი, ხოლო რესპონდენტების ნახევარზე მეტმა (57%) თქვა, რომ ქვეყანაში საცხოვრებლად ჩამოსვლის შემდეგ შეიძინა ქართველი მეგობარი.

დიაგრამა 24. ქართველი მეგობრის ყოლა ან შეძენა (%, N=999)

რეგრესიული ანალიზი აჩვენებს, რუსეთის მოქალაქეები, რომლებიც ბათუმში არ ცხოვრობენ, ისინი, ვინც საქართველოში უფრო ადრე ჩამოვიდა, და ისინი, ვისი ყოველთვიური შემოსავალიც უფრო დაბალია, უფრო მაღალი ალბათობით ამბობენ, რომ ქართველი

მეგობარი ჰყავთ, ვიდრე ბათუმში მცხოვრები რუსეთის მოქალაქეები, 2022 წლის სექტემბრის შემდეგ ჩამოსულები და ისინი, ვისაც უფრო მაღალი ყოველთვიური შემოსავალი აქვთ.

***დიაგრამა 25**. ჰყავს ქართველი მეგობარი - რეგრესიული მოდელი (პროგნოზირებული ალბათობა)*

პოლიტიკური დამოკიდებულებები და ჩართულობა

მომდევნო ქვეთავი ოთხ ნაწილადაა გაყოფილი. პირველი ნაწილი რუსეთის მოქალაქეების დამოკიდებულებებს მოიცავს რუსეთის პოლიტიკისა და რუსი პოლიტიკური ფიგურების მიმართ. რესპონდენტების აბსოლუტური უმრავლესობა მიიჩნევს, რომ რუსეთი დემოკრატიული არ არის, არ ენდობა რუსეთის მთავრობას და პუტინის საქმიანობას უარყოფითად აფასებს. მეორეს მხრივ, ათი გამოკითხული რუსეთის მოქალაქიდან რვა ნავალნის საქმიანობას დადებით შეფასებას აძლევს.

მეორე ნაწილი საქართველოს პოლიტიკას ეხება. ათიდან ცხრა რუს იმიგრანტს სჯერა, რომ საქართველო დემოკრატიულია, თუმცა, მათი ნახევარი მიიჩნევს, რომ ქვეყანა დემოკრატიულია დიდი პრობლემებით. რესპონდენტები ასევე საქართველოს მთავრობის უნდობლობისკენ იხრებიან და საქართველოს პრემიერმინისტრის საქმიანობას საკმაოდ

უარყოფითად აფასებენ. ამავდროულად, ოთხიდან სამი საქართველოს პრეზიდენტის საქმიანობას დადებით შეფასებას აძლევს.

ამ ქვეთავის მესამე ნაწილი საერთაშორისო აქტორების მიმართ რესპონდენტების დამოკიდებულებებს აჯამებს. გამოკითხულები დადებითად არიან განწყობილნი უკრაინისა და მისი პრეზიდენტის, ასევე, სხვა დასავლელი აქტორების მიმართ. ათი გამოკითხული რუსეთის მოქალაქიდან რვა პრეზიდენტ ზელენსკის საქმიანობას დადებითად აფასებს. რესპონდენტების უმრავლესობა დადებით დამოკიდებულებას გამოხატავს უკრაინის, ევროკავშირის, აშშ-სა და ნატო-ს მიმართ.

მეოთხე ნაწილი საქართველოში საცხოვრებლად ჩამოსვლის შემდეგ რუსეთის მოქალაქეების პოლიტიკურ ჩართულობას ეხება. კვლევის მიგნებების თანახმად, საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ რუსეთის მოქალაქეები საკმაოდ ჩართულები არიან პოლიტიკაში. ათიდან ცხრა გამოკითხულს მეგობრებთან და ნათესავებთან განუხილავს პოლიტიკური საკითხები, ხოლო ათიდან რვა პოლიტიკურ გადაცემებსა და ვიდეოებს უყურებს. თუმცა, როცა საქმე პოლიტიკური შეხედულებების საჯაროდ გამოხატვას ეხება, ათიდან მხოლოდ ოთხ რუსეთის მოქალაქეს დაუწერია პოლიტიკის შესახებ სოციალურ მედიაში და ამაზე ოდნავ ნაკლები ამბობს, რომ მონაწილეობა მიუღია ქუჩის საპროტესტო აქციაში ან მსვლელობაში საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ.

რუსეთის პოლიტიკა

მანამდე ჩატარებული კვლევის შესაბამისად, რომელიც აჩვენებს, რომ რუსი მიგრანტების ეს ტალღა საკმაოდ პოლიტიზებულია, მოცემული გამოკითხვის შედეგები მიუთითებს, რომ საქართველოში მცხოვრები რუსეთის მოქალაქეები ადევნებენ თვალს რუსეთში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებას. უფრო კონკრეტულად კი, რესპონდენტების 94%-მა თქვა, რომ თვალს ადევნებს რუსეთში მიმდინარე სოციალურ და პოლიტიკურ მოვლენებს.

საქართველოში მცხოვრები რუსეთის მოქალაქეები არ მიიჩნევენ, რომ სტაბილურობისა და წესრიგის უზრუნველყოფა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე დემოკრატიული მთავრობის ყოლა. გამოკითხვაში რესპონდენტებს ჰკითხეს, რამდენად ეთანხმებოდნენ ან არ ეთანხმებოდნენ მოსაზრებას, რომ თუკი ხელისუფლება ქვეყანაში წესრიგსა და სტაბილურობას უზრუნველყოფს, არ აქვს მნიშვნელობა, დემოკრატიული იქნება ის თუ - არადემოკრატიული. ოთხიდან სამი რუსეთის მოქალაქე (75%) საერთოდ არ ეთანხმება ამ მოსაზრებას, 14% ნაწილობრივ არ ეთანხმება მას, 8% ეთანხმება და მხოლოდ 1% ეთანხმება სრულად.

შემდგომი ანალიზის თანახმად, წესრიგის შენარჩუნებისა თუ დემოკრატიული მთავრობის ყოლის შესახებ მოსაზრებებში სხვადასხვა სოციალურ-დემოგრაფიულ ჯგუფებს შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები არ გამოვლინდა.

***დიაგრამა 26**. რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით მოსაზრებას, რომ თუ ხელისუფლება ქვეყანაში წესრიგსა და სტაბილურობას უზრუნველყოფს, არ აქვს მნიშვნელობა, დემოკრატიული იქნება ის თუ - არადემოკრატიული?*

(%, N=855)

რაც შეეხება პოლიტიკურ რეჟიმს მათ სამშობლოში, გამოკითხულ რუსეთის მოქალაქეებს მტკიცედ სჯერათ, რომ რუსეთი დემოკრატიული არ არის. რესპონდენტების აბსოლუტურმა უმრავლესობამ (94%) მიუთითა, რომ რუსეთი საერთოდ არ არის დემოკრატიული, 2% თქვა, რომ რუსეთი დემოკრატიულია დიდი პრობლემებით და 1% აღნიშნა, რომ რუსეთი დემოკრატიულია მცირე პრობლემებით. რესპონდენტების 3%-მა არ იცის ან თავს იკავებს ამ კითხვაზე პასუხის გაცემისგან.

დიაგრამა 27. რამდენად დემოკრატიულია რუსეთი დღეს?

(%, N=856)

საქართველოში მცხოვრები რუსეთის მოქალაქეები, ვინც გამოკითხვაში მიიღო მონაწილეობა, უნდობლობას უცხადებენ რუსეთის მთავრობას. გამოკითხული ათი რუსეთის მოქალაქიდან ცხრა (90%) ამბობს, რომ საერთოდ არ ენდობა რუსეთის მთავრობას. რუსეთის მთავრობის მიმართ ნდობა არ განსხვავდება ასაკობრივი ჯგუფის, სქესის, საქართველოში საცხოვრებელი ადგილის, ფორმალური განათლების დონის ან საქართველოში ჩამოსვლის დროის მიხედვით.

დიაგრამა 28. *რამდენად ენდობით ან არ ენდობით რუსეთის მთავრობას?*

(%, N=1008)

გამოკითხვაში რესპონდენტებს სთხოვდნენ, შეეფასებინათ რუსეთის ორი პოლიტიკური ფიგურის – ვლადიმერ პუტინისა და ალექსეი ნავალნის საქმიანობა. გამოკითხული რუსეთის მოქალაქეები პუტინის საქმიანობას ძალიან უარყოფითად, ხოლო ნავალნის საქმიანობას საკმაოდ დადებითად აფასებენ. ათი რესპონდენტიდან ცხრა (89%) რუსეთის ამჟამინდელი პრეზიდენტის საქმიანობას ძალიან უარყოფით შეფასებას აძლევს, 5% – საკმაოდ უარყოფითს. რაც შეეხება ალექსეი ნავალნის, რესპონდენტების ნახევარი (50%) მის საქმიანობას საკმაოდ დადებითად აფასებს, ხოლო მესამედზე ცოტა ნაკლები (29%) – ძალიან დადებითად.

დიაგრამა 29. როგორ შეაფასებდით ... საქმიანობას?

(%, N=861)



შემდგომი ანალიზი აჩვენებს, რომ პუტინის საქმიანობის შეფასებაში სხვადასხვა სოციალურ-დემოგრაფიულ ჯგუფს შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები არ გამოიკვეთა. შესაბამისად, სქესის, ასაკის, განათლების, ეთნიკური კუთვნილების, შემოსავლების და წინა თუ ამჟამინდელი საცხოვრებელი ადგილის მიუხედავად, საქართველოში მცხოვრები რუსეთის მოქალაქეები პუტინის საქმიანობას ძალიან უარყოფითად აფასებენ.

რაც შეეხება ნავალნის საქმიანობის შეფასებას, რუსეთის მოქალაქეები, რომლებიც საქართველოში სამხედრო მობილიზაციის გამოცხადებამდე ჩამოვიდნენ და ისინი, ვისი ყოველთვიური შემოსავალიც 1000 აშშ დოლარზე ნაკლებია, უფრო მაღალი ალბათობით აფასებენ უარყოფითად ნავალნის საქმიანობას, ვიდრე 2022 წლის სექტემბრის შემდეგ ჩამოსული რუსეთის მოქალაქეები და უფრო მაღალი შემოსავლის მქონე პირები.

დიაგრამა 30. *უარყოფითად აფასებს ნავალნის საქმიანობას - რეგრესიული მოდელი (პროგნოზირებული ალბათობა)*



საქართველოს პოლიტიკა

რაც შეეხება მასპინძელ ქვეყანაში არსებული პოლიტიკური რეჟიმის შესახებ მოსაზრებებს, გამოკითხული რუსეთის მოქალაქეები უმეტესად თანხმდებიან, რომ საქართველო დემოკრატიულია, თუმცა, მათი აზრი იყოფა იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად დიდი პრობლემები აქვს აქ დემოკრატიას. რესპონდენტების მესამედზე მეტი მიიჩნევს, რომ საქართველო ან სრულად დემოკრატიულია (3%) ან დემოკრატიულია მცირე პრობლემებით (35%). გამოკითხული რუსეთის მოქალაქეების ნახევარზე მეტი ამბობს, რომ საქართველო

დემოკრატიულია დიდი პრობლემებით (56%). რესპონდენტების 3%-ის აზრით, საქართველო საერთოდ არ არის დემოკრატიული, კიდევ 3%-მა კი არ იცის.

***დიაგრამა 31**. რამდენად დემოკრატიულია საქართველო დღეს?*

(%, N=853)



სტატისტიკური ანალიზი აჩვენებს, რომ საქართველოში სამხედრო მობილიზაციის გამოცხადებამდე ჩამოსული რუსეთის მოქალაქეები უფრო კრიტიკულად არიან განწყობილი საქართველოს დემოკრატიულობის მიმართ, ვიდრე ისინი, ვინც 2022 წლის სექტემბრის შემდეგ ჩამოვიდნენ. უფრო კონკრეტულად კი, რესპონდენტები, რომლებიც 2022 წლის სექტემბრამდე, ანუ სამხედრო მობილიზაციის გამოცხადებამდე ჩამოვიდნენ, 10 პროცენტული პუნქტით უფრო მაღალი ალბათობით მიიჩნევენ, რომ საქართველოს დემოკრატიას დიდი პრობლემები აქვს და ასევე 10 პროცენტული პუნქტით უფრო ნაკლებად მიიჩნევენ, რომ საქართველოს დემოკრატიას მცირე პრობლემები აქვს, ვიდრე ისინი, ვინც ქვეყანაში 2022 წლის სექტემბრის შემდეგ ჩამოვიდა.

***დიაგრამა 32**. შეხედულებები საქართველოს დემოკრატიულობაზე - რეგრესიული მოდელი*

(პროგნოზირებული ალბათობა)



რუსი მიგრანტების წინა გამოკითხვების მსგავსად,[17] მოცემული კვლევა ადასტურებს, რომ რუსეთის მოქალაქეების ნდობა მასპინძელი ქვეყნის მთავრობის შესახებ არაერთგვაროვანია. გამოკითხული რუსეთის მოქალაქეების 39% სრულად ან ძირითადად ენდობა საქართველოს მთავრობას, ხოლო 55% ნაკლებად ან საერთოდ არ ენდობა მას.

დიაგრამა 33. *რამდენად ენდობით ან არ ენდობით საქართველოს მთავრობას?*

(%, N=1008)

შემდგომი დეტალური ანალიზის თანახმად, თბილისს გარეთ მცხოვრები რუსეთის მოქალაქეები უფრო მაღალი ალბათობით ენდობიან საქართველოს მთავრობას, ვიდრე საქართველოს დედაქალაქში მცხოვრები რუსეთის მოქალაქეები.

დიაგრამა 34. *ნდობა საქართველოს მთავრობის მიმართ - რეგრესიული მოდელი*

(პროგნოზირებული ალბათობა)



გამოკითხვაში რუსეთის მოქალაქეებს ასევე სთხოვეს, შეეფასებინათ საქართველოს მთავრობის ხელმძღვანელის (პრემიერმინისტრის) და საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის (პრეზიდენტის) საქმიანობა. აღსანიშნავია, რომ ბოლო პერიოდში საქართველოს პრემიერმინისტრს ხშირად აკრიტიკებენ რუსეთის ინტერესების სასარგებლოდ მოქმედების გამო, ხოლო საქართველოს პრეზიდენტი ხმამაღლა ეწინააღმდეგება მთავრობის პოზიციას, რომელსაც ზოგი პრორუსულად მიიჩნევს.[18]

---

[17] Kostenko et al.
[18] Civil.ge, "Analysis | Rapprochement with Russia."

გამოკითხული რუსეთის მოქალაქეები საქართველოს პრემიერმინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის, საქმიანობას უარყოფითად აფასებენ, ხოლო პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის საქმიანობას - დადებითად. მხოლოდ რესპონდენტების 19%-მა შეაფასა პრემიერმინისტრის საქმიანობა ძალიან ან საკმაოდ დადებითად მაშინ, როცა პრეზიდენტის საქმიანობას დადებით შეფასებას რესპონდენტების 74% აძლევს.

დიაგრამა 35. როგორ შეაფასებდით ... საქმიანობას?

(%, N=861)



რეგრესიული ანალიზი აჩვენებს, რომ რუსეთის მოქალაქეების სხვადასხვა სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფები განსხვავებულად აფასებენ საქართველოს პრემიერმინისტრის საქმიანობას. თუმცა, ეს სხვაობა უფრო უარყოფითი შეფასების ინტენსიურობას ეხება, ვიდრე განსხვავებას დადებით და უარყოფით შეფასებებს შორის.

უფრო კონკრეტულად, საშუალო ან უფრო დაბალი განათლების მქონე რუსეთის მოქალაქეები უფრო მაღალი ალბათობით აფასებენ პრემიერმინისტრის საქმიანობას ძალიან უარყოფითად, ვიდრე განათლების მაღალი დონის მქონე რუსეთის მოქალაქეები, რომლებიც უმეტესად „საკმაოდ უარყოფითად“ პასუხს ირჩევენ.

გარდა ამისა, თბილისსა და ბათუმში მცხოვრები რესპონდენტები უფრო მაღალი ალბათობით რადიკალურები არიან უარყოფით შეფასებებში, ვიდრე სხვა დასახლებულ პუნქტებში, მაგალითად, ქუთაისში, რუსთავში და ა.შ. მცხოვრები რუსეთის მოქალაქეები. რუსი იმიგრანტები, რომლებიც ეთნიკურად რუსები არ არიან და ისინი, ვინც საქართველოში სამხედრო მობილიზაციის გამოცხადებამდე ჩამოვიდნენ, ასევე უფრო მაღალი ალბათობით აფასებენ საქართველოს პრემიერმინისტრის საქმიანობას ძალიან უარყოფითად.

***დიაგრამა 36**. პრემიერმინისტრ ღარიბაშვილის საქმიანობის შეფასება - რეგრესიული მოდელი რესპონდენტების 75%, ვინც თქვა, რომ იცის, ვინ არის ღარიბაშვილი და შეაფასა მისი საქმიანობა (პროგნოზირებული ალბათობა)*



რაც შეეხება საქართველოს პრეზიდენტის საქმიანობის შეფასებას, აქ რუსეთის მოქალაქეების სოციალურ-დემოგრაფიულ ქვეჯგუფებს შორის განსხვავებები არ გამოიკვეთა, გარდა რუსეთში საცხოვრებელი ადგილისა. რუსეთის მოქალაქეები, ვინც საქართველოში სანქტ-პეტერბურგიდან ჩამოვიდნენ, სტატისტიკურად უფრო მაღალი ალბათობით აფასებენ პრეზიდენტის საქმიანობას დადებითად, ვიდრე რუსეთის სხვა ნაწილებიდან ჩამოსული რუსეთის მოქალაქეები.

***დიაგრამა 37.** საქართველოს პრეზიდენტის საქმიანობის შეფასება - რეგრესიული მოდელი რესპონდენტების 85%, ვინც თქვა, რომ იცის, ვინ არის საქართველოს პრეზიდენტი და შეაფასა მისი საქმიანობა*

(პროგნოზირებული ალბათობა)

საერთაშორისო აქტორები

მანამდე ჩატარებული კვლევების თანახმად, საქართველოში მცხოვრები რუსი მიგრანტები უკრაინის პრეზიდენტს მოზომილად დადებით შეფასებას აძლევდნენ: რუსეთის მოქალაქეების 46% აფასებდა ვოლოდიმირ ზელენსკის საქმიანობას დადებითად.[19] მოცემული კვლევის ფარგლებში უკრაინის პრეზიდენტის დადებითი შეფასება მნიშვნელოვნად უფრო მაღალია. საერთო ჯამში, ათიდან რვა რესპონდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკის საქმიანობა ძალიან დადებითად (43%) ან საკმაოდ დადებითად (38%) შეაფასა. ათი გამოკითხული რუსეთის მოქალაქიდან მხოლოდ ერთმა შეაფასა უკრაინის პრეზიდენტის საქმიანობა უარყოფითად (7%) ან ძალიან უარყოფითად (3%). ოციდან ერთმა (5%) არ იცოდა, ხოლო ორმოცდაათიდან ერთმა (2%) პასუხის გაცემისგან თავი შეიკავა.

შემდგომი ანალიზი აჩვენებს, რომ ვოლოდიმირ ზელენსკის საქმიანობის შეფასების მხრივ რუსეთის მოქალაქეების სხვადასხვა სოციალურ-დემოგრაფიულ ჯგუფს შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები არ არის.

***დიაგრამა 38**. როგორ შეაფასებდით ვოლოდიმირ ზელენსკის საქმიანობას?*

(%, N=861)

რუსეთის მოქალაქეების აბსოლუტური უმრავლესობა დადებით დამოკიდებულებას ამჟღავნებს როგორც დასავლელი აქტორების, ასევე უკრაინის მიმართ. ათიდან ცხრა რესპონდენტი დადებითადაა განწყობილი ევროკავშირის და ასევე უკრაინის მიმართ. ათიდან რვა (84%) დადებით დამოკიდებულებას აფიქსირებს აშშ-ის, ხოლო 77% - ნატო-ს მიმართ.

[19] Krawatzek, DeSisto, and Soroka, "Russians in the South Caucasus: Political Attitudes and the War in Ukraine."

თუმცა, რესპონდენტების მოსაზრება გაყოფილია ჩინეთთან დაკავშირებით. ათი გამოკითხულიდან ოთხი (42%) დადებითადაა განწყობილი, ხოლო რესპონდენტების დაახლოებით ნახევარი (49%) ჩინეთის მიმართ უარყოფით დამოკიდებულებას ამჟღავნებს.

***დიაგრამა 39**. ზოგადად, როგორი დამოკიდებულება გაქვთ ... მიმართ?*

(%, N=856)



უკრაინისა და ევროკავშირის მიმართ დამოკიდებულების მხრივ სხვადასხვა სოციალურ-დემოგრაფიულ ჯგუფს შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები არ გამოვლინდა. თუმცა, ქვეჯგუფებს შორის განსხვავებებია აშშ-ის, ნატო-ს და ჩინეთის მიმართ ზოგადი დამოკიდებულების შემთხვევაში.

უფრო კონკრეტულად, სტატისტიკური ანალიზი აჩვენებს, რომ უფრო მაღალი ყოველთვიური შემოსავლის მქონე რუსეთის მოქალაქეები უფრო მაღალი ალბათობით გამოხატავენ დადებით დამოკიდებულებას აშშ-ის მიმართ, ვიდრე უფრო დაბალი ყოველთვიური შემოსავლის მქონე რესპონდენტები.

***დიაგრამა 40**. დადებითი დამოკიდებულება აშშ-ის მიმართ - რეგრესიული მოდელი*

(პროგნოზირებული ალბათობა)

გარკვეული განსხვავებები ნატო-ს შემთხვევაშიც გამოიკვეთა. უფრო დაბალი განათლების მქონე, ბათუმში მცხოვრები და უფრო მაღალი შემოსავლის მქონე რუსეთის მოქალაქეები უფრო მაღალი ალბათობით გამოხატავენ დადებით დამოკიდებულებას ნატო-ს მიმართ,

ვიდრე ისინი, ვინც ფორმალური განათლების უფრო მაღალ საფეხურზე დგას, ვინც ბათუმს გარეთ ცხოვრობს და ვისაც უფრო დაბალი ყოველთვიური შემოსავალი აქვს.

***დიაგრამა 41**. დადებითი დამოკიდებულება ნატო-ს მიმართ – რეგრესიული მოდელი (პროგნოზირებული ალბათობა)*

ამასთან, სტატისტიკური ანალიზი აჩვენებს, რომ განათლების უფრო მაღალი დონის მქონე ხალხი და რუსეთის მოქალაქეები, ვინც საქართველოში სამხედრო მობილიზაციის გამოცხადების შემდეგ ჩამოვიდნენ, უფრო მაღალი ალბათობით გამოხატავენ დადებით დამოკიდებულებას ჩინეთის მიმართ, ვიდრე რუსეთის მოქალაქეები, რომლებსაც უფრო დაბალი ფორმალური განათლება აქვთ და სამხედრო მობილიზაციის გამოცხადებამდე ჩამოსული რუსეთის მოქალაქეები.

***დიაგრამა 42.** დადებითი დამოკიდებულება ჩინეთის მიმართ – რეგრესიული მოდელი (პროგნოზირებული ალბათობა)*



პოლიტიკური ჩართულობა საქართველოში ცხოვრების დროს

როგორც რესპონდენტების მიერ დასახელებული ქცევებიდან ჩანს, როგორიცაა მეგობრებთან და ნათესავებთან პოლიტიკის განხილვა და პოლიტიკური გადაცემებისა და ვიდეოების ყურება, გამოკითხული რუსეთის მოქალაქეები პოლიტიკასთან კავშირს არ წყვეტენ. საქართველოში გადმოსვლის შემდეგ, ათიდან ცხრა გამოკითხული რუსეთის მოქალაქეს მეგობრებთან და ნათესავებთან განუხილავს პოლიტიკა (90%) და ათიდან რვა პოლიტიკურ გადაცემებსა და ვიდეოებს უყურებს (80%).

თუმცა, როცა საქმე პოლიტიკური შეხედულებების საჯაროდ გამოხატვას ეხება, რესპონდენტების ნახევარზე ნაკლები აკეთებს ამას. უფრო კონკრეტულად, ათი რუსეთის მოქალაქიდან ოთხს დაუწერია პოლიტიკაზე სოციალურ მედიაში (39%) და ამაზე ოდნავ ნაკლებს მიუღია მონაწილეობა ქუჩის საპროტესტო აქციაში ან მსვლელობაში (37%).

***დიაგრამა 43**. საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ ...?*

(%, N=859)

თბილისში მცხოვრები რუსეთის მოქალაქეები და ისინი, ვისი ყოველთვიური შემოსავალიც 1000 აშშ დოლარზე ნაკლებია, უფრო მაღალი ალბათობით ამბობენ, რომ საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ მონაწილეობა მიუღიათ საპროტესტო აქციაში ან მსვლელობაში, ვიდრე ისინი, ვინც თბილისს გარეთ ცხოვრობს და ვისაც უფრო მაღალი ყოველთვიური შემოსავალი აქვს.

***დიაგრამა 44**. მონაწილეობა მიმიღია საპროტესტო აქციაში – რეგრესიული მოდელი*

(პროგნოზირებული ალბათობა)



რაც შეეხება პოლიტიკური გადაცემებისა და ვიდეოების ყურებას, შედარებით უფროსი ასაკის რუსეთის მოქალაქეები, ისინი, ვინც 33 წელზე მეტის არიან და რუსეთის მოქალაქეები, ვინც მოსკოვიდან ჩამოვიდნენ საქართველოში, უფრო მაღალი ალბათობით ამბობენ, რომ საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ პოლიტიკური გადაცემებისთვის უყურებიათ, ვიდრე ახალგაზრდები და ისინი, ვინც მოსკოვიდან და სანქტ-პეტერბურგიდან არიან.

***დიაგრამა 45**. ვუყურებ პოლიტიკურ პროგრამებსა და ვიდეოებს - რეგრესიული მოდელი (პროგნოზირებული ალბათობა)*

რეგრესიული ანალიზი აჩვენებს, რომ სხვა ფაქტორების გაკონტროლების შემთხვევაში, ქალები, საშუალო ან დაბალი განათლების მქონე რუსეთის მოქალაქეები, ისინი, ვინც საქართველოში სამხედრო მობილიზაციის გამოცხადებამდე ჩამოვიდნენ და შედარებით უფრო დაბალი შემოსავლის მქონე რესპონდენტები უფრო მაღალი ალბათობით ამბობენ, რომ საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ სოციალურ მედიაში პოლიტიკაზე დაუწერიათ, ვიდრე კაცები, სპეციალისტის ან მაგისტრის ხარისხის მქონე რუსეთის მოქალაქეები, საქართველოში 2022 წლის სექტემბრის შემდეგ ჩამოსულები და ისინი, ვისაც უფრო მაღალი ყოველთვიური შემოსავალი აქვს.



***დიაგრამა 46**. სოციალურ მედიაში პოლიტიკის შესახებ დამიწერია - რეგრესიული მოდელი (პროგნოზირებული ალბათობა)*

ფორმალური განათლების დაბალ საფეხურზე მყოფი რესპონდენტები და ისინი, ვინც მოსკოვიდან არიან, უფრო მაღალი ალბათობით ამბობენ, რომ საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ მეგობრებთან და ნათესავებთან განუხილავთ პოლიტიკა, ვიდრე მაგისტრატურის ხარისხის ან უფრო მაღალი დონის განათლების მქონე რუსეთის მოქალაქეები და ისინი, ვინც რუსეთის სხვა დასახლებული პუნქტებიდან ჩამოვიდნენ.

***დიაგრამა 47**. მეგობრებთან/ნათესავებთან განმიხილავს პოლიტიკა – რეგრესიული მოდელი (პროგნოზირებული ალბათობა)*



დასკვნა

მოცემული კვლევა უმეტესად ადასტურებს საქართველოში ჩამოსული რუსეთის მოქალაქეების მანამდე ჩატარებული გამოკითხვების შედეგებს. კვლევაში მონაწილე რუსეთის მოქალაქეები, რომლებიც საქართველოში ომის დაწყების შემდეგ ჩამოვიდნენ, უმეტესად ახალგაზრდები არიან, უმაღლესი განათლება გაქვთ და ძირითადად დასაქმებულები არიან. მათ შორის არაპროპორციულად არიან წარმოდგენილნი: კაცები, ქალაქებში მცხოვრებნი და საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში მომუშავეები. სამშობლოს დატოვების ძირითადად მიზეზებად ისინი რუსეთში არსებულ პოლიტიკურ ვითარებას (87%), უკრაინაში ომს (73%) და სამხედრო მობილიზაციის გამოცხადებას (29%) ასახელებენ. გარდა ამისა, მოცემული კვლევა წინა გამოკითხვების მსგავსად აჩვენებს, რომ რუსი მიგრანტები ენდობიან რუსეთის სხვა მოქალაქეებს, ვინც ქვეყანა დატოვა, და ადგილობრივ მოსახლეობას.

რესპონდენტები უარყოფითი დამოკიდებულებას ამჟღავნებენ რუსეთისა და რუსეთის ხელისუფლების მიმართ. გამოკითხულთა ორი მესამედი ზოგადად უარყოფითადაა განწყობილი რუსეთის მიმართ. რესპონდენტების აბსოლუტური უმრავლესობა მიიჩნევს, რომ რუსეთი საერთოდ არ არის დემოკრატიული (94%), არ ენდობა რუსეთის მთავრობას (97%) და პუტინის საქმიანობას უარყოფითად აფასებს (94%). მეორეს მხრივ, ათიდან რვა რუსეთის მოქალაქე (79%) დადებით შეფასებას აძლევს ალექსეი ნავალნის საქმიანობას.

ამის საპირისპიროდ, რუსეთის მოქალაქეები გამოკვეთილად დადებით დამოკიდებულებას გამოხატავენ საქართველოსა და საქართველოს მოქალაქეების მიმართ. მათი აბსოლუტური უმრავლესობა ზოგადად დადებითადაა საქართველოს მიმართ განწყობილი (98%) და ათიდან ცხრა საქართველოს მაცხოვრებლებს ენდობა. ოთხიდან სამი რუსეთის მოქალაქე ამბობს, რომ ქართველი მეგობარი ჰყავს. საქართველოში საცხოვრებლად ჩამოსვლის ძირითად მიზეზებად რესპონდენტები ყველაზე ხშირად ასახელებენ უსაფრთხოებას (28%), ცხოვრების ხელმისაწვდომობას (17%) და საქართველოში ჩამოსვლის სიმარტივეს (14%).

ამასთან, გამოკითხული რუსეთის მოქალაქეების დიდი უმრავლესობა თავს ფიზიკურად უსაფრთხოდ გრძნობს (89%) და კმაყოფილია საქართველოში ცხოვრებით (78%). რაც შეეხება ქვეყანაში დარჩენის ხანგრძლივობას, გამოკითხული რუსეთის მოქალაქეების ნახევარი ერთ წელზე მეტი ხნით გეგმავს დარჩენას, ხოლო მეოთხედს ჯერ არ გადაუწყვეტია.

ათიდან ცხრა რუსეთის მოქალაქეს მიაჩნია, რომ საქართველო დემოკრატიულია, თუმცა, მათი ნახევარი ფიქრობს, რომ საქართველო დემოკრატიულია დიდი პრობლემებით. რესპონდენტები საქართველოს მთავრობას არ ენდობიან და საქართველოს

პრემიერმინისტრის საქმიანობას საკმაოდ უარყოფითად აფასებენ. ამავდროულად ოთხიდან სამი რესპონდენტი საქართველოს პრეზიდენტის საქმიანობას დადებით შეფასებას აძლევს.

გამოკითხულებს ასევე განსაკუთრებით დადებითი დამოკიდებულება აქვთ უკრაინის, მისი პრეზიდენტის და სხვა დასავლელი აქტორების მიმართ. ათიდან რვა გამოკითხულმა რუსეთის მოქალაქემ დადებითად შეაფასა პრეზიდენტ ზელენსკის საქმიანობა. რესპონდენტების უმრავლესობა დადებითადაა განწყობილი უკრაინის (93%), ევროკავშირის (92%), აშშ-და (84%) და ნატო-ს (77%) მიმართ.

გამოკითხული რუსეთის მოქალაქეები საქართველოში ჩამოსვლის შემდეგაც პოლიტიკაში ჩართულები არიან. ათიდან ცხრა რესპონდენტს მეგობრებთან და ნათესავებთან განუხილავს პოლიტიკა და ათიდან რვა პოლიტიკური გადაცემებსა და ვიდეოებს უყურებს. ამის მიუხედავად, როცა საქმე პოლიტიკური შეხედულების საჯაროდ გამოხატვას შეეხება, საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ ათიდან მხოლოდ ოთხ რუსეთის მოქალაქეს დაუწერია პოლიტიკაზე სოციალურ მედიაში და ამაზე ოდნავ ნაკლებ წილს მიუღია მონაწილეობა საპროტესტო აქციაში ან მსვლელობაში.

ბიბლიოგრაფია

Aronova, Marina. "As More Russians Flee Over Putin's War On Ukraine, Other Countries Are Reaping The Economic Benefits." *RadioFreeEurope/RadioLiberty*, November 6, 2022.

Civil.ge. "Analysis | Rapprochement with Russia: What Now?" *Civil Georgia* (blog), May 20, 2023. https://civil.ge/archives/543316.

კაკაჩია, კორნელი და სალომე კანდელაკი. "მიგრაცია რუსეთიდან: საფრთხე თუ შესაძლებლობა საქართველოსთვის?" პოლიტიკის მემორანდუმი. PONARS Eurasia, 2022. https://www.ponarseurasia.org/the-russian-migration-to-georgia-threats-or-opportunities/.

Kostenko, Nika, Margarita Zavadskaya, Emil Kamalov, and Ivetta Sergeeva. "The Russian Rhizome: A Social Portrait of New Immigrants." RE:RUSSIA. ნანახია 2023 წლის 4 ივლისს. https://re-russia.net/en/expertise/045/.

Krawatzek, Félix, Isabelle DeSisto, and George Soroka. "Russians in the South Caucasus: Political Attitudes and the War in Ukraine." Centre for East European and International Studies (ZOiS), 2023. file:///C:/Users/givi/Downloads/ZOiS_Report_2_2023%20(2).pdf.

Lomsadze, Giorgi. "Russian Draft Dodgers Queue at Georgian Border." *Eurasianet*, September 26, 2022. https://eurasianet.org/russian-draft-dodgers-queue-at-georgian-border.

Ministry of Defence (United Kingdom). "Latest Defence Intelligence Update on the Situation in Ukraine - 7 May 2023." "ტვიტერის" პოსტი, 7 მაისი, 2023. https://twitter.com/DefenceHQ/status/1655085083299127296?lang=en.

შინაგან საქმეთა სამინისტრო (საქართველო). "საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე გადაადგილებული პირებისა და ტრანსპორტის სტატისტიკური მონაცემები (2022 წელი)," 2023. https://info.police.ge/uploads/64380829b84bf.pptx.

Staske, Sebastian, and Ricardo Giucci. "Relocation of People from Russia and Belarus to Georgia: Results of 2nd Survey and Update of Economic Implications." Policy Study. German Economic Team, 2023. https://www.german-economic-team.com/en/publication/relocation-of-people-from-russia-and-belarus-to-georgia-results-of-2nd-survey-and-update-of-economic-implications/.

დანართები

დანართი 1 – ჩატარებული ინტერვიუების რაოდენობა გამოკითხვის მეთოდის მიხედვით

ინტერვიუების რაოდენობა	გამოკითხვის მეთოდი
48	სატელეფონო გამოკითხვა
137	პირისპირ გამოკითხვა
823	თვითადმინისტრირებული ონლაინ გამოკითხვა

დანართი 2 - გამოკითხული რუსეთის მოქალაქეების სოციალურ-დემოგრაფიული პროფილი

საქართველოში მცხოვრები რუსეთის მოქალაქეების წინა გამოკითხვების შედეგების შესაბამისად, მოცემულ კვლევაში მონაწილე რუსეთის მოქალაქეები უმეტესად ახალგაზრდები არიან (რესპონდენტების 84% 40 წლამდე ასაკისაა), მაღალი განათლების დონე აქვთ (82%-ს უმაღლესი განათლება აქვს), დასაქმებულები (რესპონდენტები 80%-მდე დასაქმებულია და მხოლოდ 11% ამბობს, რომ ეძებს სამსახურს). მათ შორის არაპროპორციულად არიან წარმოდგენილნი კაცები (რესპონდენტების 64% კაცია) და საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროს მუშაკები (40%).

რესპონდენტების ასაკობრივი დიაპაზონი 18-დან 67-მდეა. გამოკითხულთა საშუალო ასაკია 33.2, რაც ძალიან ახლოსაა 2022 წლის ბოლოს საქართველოში მცხოვრები რუსეთის მოქალაქეების გამოკითხვაში მონაწილეთა საშუალო ასაკთან. 2022 წლის ბოლოს ჩატარებული გამოკითხვაც არა-ალბათური შერჩევის მეთოდით ჩატარდა. ეს ადასტურებს მიგნებას, რომ უკრაინაში რუსეთის შეჭრის შემდეგ საქართველოში ჩამოსული რუსეთის მოქალაქეები მნიშვნელოვნად უფრო ახალგაზრდები არიან, ვიდრე რუსეთის მოსახლეობა (მათი საშუალო ასაკი 39 წელია).

***დიაგრამა 48**. ასაკის განაწილება სქესის მიხედვით*

(Count, N=1008)



შერჩევაში რესპონდენტების 64% კაცია, ქალები კი შერჩევის მხოლოდ 34%-ს შეადგენენ. ესეც თანხვედრაშია საქართველოში მცხოვრების რუსეთის მოქალაქეების მანამდე ჩატარებულ გამოკითხვებთან. ამის საპირისპიროდ, რუსეთის მოსახლეობაში 46% კაცია და 54% - ქალი.

რაც შეეხება განათლებას, გამოკითხული რუსეთის მოქალაქეების წილი, ვისაც უმაღლესი განათლება აქვს მიღებული (მაგ.: ბაკალავრის, სპეციალისტის, მაგისტრის ან დოქტორის ხარისხი) 80%-ს აღემატება. მანამდე ჩატარებული კვლევების მსგავსად, CRRC-საქართველოს მიერ ჩატარებული მოცემული გამოკითხვა აჩვენებს, რომ 2022 წლის თებერვალში რუსეთის უკრაინაში შეჭრის შემდეგ საქართველოში ჩამოსული რუსეთის მოქალაქეები ფორმალური განათლების უფრო მაღალ საფეხურზე დგანან, ვიდრე რუსეთის მოსახლეობა.

დიაგრამა 49. *რესპონდენტების ფორმალური განათლების ყველაზე მაღალი საფეხური (%, N=1008)*

ათი რესპონდენტიდან რვა (78%) დასაქმებულია სრულ ან ნახევარ განაკვეთზე. რუსეთის კომუნიკაციის სამინისტროს განცხადების შესაბამისად კი, რომელიც ამბობს, რომ 2022 წელს რუსეთი არაპროპორციულად ბევრმა საინფორმაციო ტექნოლოგიების მუშაკმა დატოვა,[20] ამ სფეროში მომუშავე რუსეთის მოქალაქეები მოცემული კვლევის შერჩევაში ყველაზე მეტად არიან წარმოდგენილნი. გამოკითხული რუსეთის მოქალაქეების 40% საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროშია დასაქმებული. ამ სფეროს გარდა, რესპონდენტების 4-4% დასაქმებულია: მარკეტინგის, განათლების, დიზაინისა და მომსახურების სფეროში. საქმიანობის სხვა სფეროები რესპონდენტთა 3%-ზე ნაკლებმა დაასახელა.

დიაგრამა 50*. რესპონდენტების დასაქმების სფერო საქართველოში ცხოვრებისას (%, N=1008)*



[20] *https://www.washingtonpost.com/world/2023/02/13/russia-diaspora-war-ukraine/*